3695/3-53/22 2 21042022

3695/3-53/22
21-04-2022

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 148-ე მუხლის საფუძველზე გთხოვთ, მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 4 აპრილს, გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია:

„საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ რუსეთის ფედერაციისთვის სანქციების დაწესების პირველივე დღეებიდან, საქართველო ახორციელებს უმკაცრეს კონტროლს ქვეყნის ყველა საბაჟო-გამშვებ პუნქტზე და ხდება ქვეყანაში შემოსული და გასული ტვირთების მონიტორინგი. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ნებისმიერი ტიპის საქონელი, როგორც სამხედრო, ისე ორმაგი დანიშნულების, ასევე ყველა ის პროდუქცია, რომელიც მოხვედრილია სანქციების სიაში, ექვემდებარება მკაცრ საბაჟო კონტროლს საქართველოს ხელისუფლების მიერ.“

გთხოვთ, მომაწოდთ იმ პროდუქციის ჩამონათვალი, რომელიც მოხვედრილია ზემოთ აღნიშნულ სანქციების სიაში - თითოეული ამ პროდუქციის სასაქონლო კოდის მითითებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია